სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“

ქ.თბილისში, პ.ქავთარაძის 23-ში მდებარე ლაბორატორიის შენობის საინჟინრო სამუშაოების ტენდერი

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილე კომპანიებისათვის

თბილისი 2018 წ.

სარჩევი

ნაწილი 1.

1. სატენდეტო მოთხოვნები და ზოგადი საკითხები 3
2. ტენდერში მონაწილეობის პირობები 4
3. პროექტის აღწერა 5
3.1 შესავალი 5
ბ. პროექტის ზოგადი აღწერა, განხორციელების ვადები და ფართები 5
4. დამკვეთის ვალდებულებები 6
5. კონტრაქტორის ვალდებულებები 6
5.1 სატენდერო დოკუმენტებისა და საამშნებლო უბნის შემოწმება 6
5.2 საამშენებლო სამუშოების განხორციელება და კოორდინაცია 6
5.3 კომუნიკაციების დაერთება და კომუნალური გადასახადები 7
5.4 სამუშაოების გეგმა-გრაფიკი 7
5.5 დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები 8
6. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი 8
7. საბანკო გარანტიები და საავანსო გადახდა 8

ნაწილი 2.

ხარჯთაღრიცხვა

ნაწილი 3.

საპროექტო დოკუმენტაცია - გთხოვთ ჩამოტვირთოთ მითითებული ლინკიდან:

https://drive.google.com/file/d/17jvnOtXwGzi8yvithADkjyR3IapQeisi/view?usp=sharing

1. სატენდეტო მოთხოვნები და ზოგადი საკითხები

წინამდებარე ინსტრუქცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ოფერენტის (დამკვეთი) ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი);

კონტრაქტორისთვის ცნობილია და ეთანხმება იმ გარემოებას, რომ დამკვეთი გადაწყვეტილებას ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენასთან დაკავშირებით მიიღებს მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ. ტენდერის მონაწილის ნებისმიერი გარემოებების გამო ვერ გამარჯვების ან/და დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, დამკვეთი თავისუფლდება ვალდებულებისაგან დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მიუხედავად დამკვეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, კონტრაქტორი უარს აცხადებს ნებისმიერი მატერიალური დანახარჯის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რაც მას შეიძლება მიადგეს ტენდერში მონაწილეობით, წარსადგენი სატენდერო დოკუმენტაციის მომოზადებით, ან/და იმ მოქმედების განსახორციელებლად რომელიც აუცილებელი იყო კონტრაქტორის მიერ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერის ყველა დოკუმენტში ტერმინებს: „ტენდერის მონაწილე“, „მთავარი კონტრაქტორი“, „გენერალური კონტრაქტორი“ და „კონტრაქტორი“ ერთიდაიგივე მნიშვნელობა აქვს; ტერმინები: „დამკვეთი“, „დამსაქმებელი“, „მეპატრონე“ და „სს მეგალაბი“ ერთსა და იმავეს ნიშნავს, ისევე როგორც - „ქავთარაძის №23“, „პროექტი“ და „შენობა“.

- სავალდებულოა, რომ ტენდერის ყველა მონაწილემ დაათვალიეროს სამშენებლო უბანი, გაეცნოს საამშენებლო მოედნის რეალურ პირობებსა და არსებულ გარემოებებს, იმ მიზნით რომ ყველა ფაქტორი ზედმიწევნით იქნას გათვალისწინებული მონაწილეთა გაანგარიშებაში.

- სატენდერო პაკეტი უნდა ჩაბარდეს სრულად დაკომპლექტებული. ფასები შევსებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტებში წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვის ფორმაში.

- ტენდერის მონაწილემ უნდა გაითვალისწინოს სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, თუმცა სამშენებლო სამუშაოების რაოდენობების შესწავლა და გადამოწმება კონტრაქტორის რისკს და ვალდებულებას წარმოადგენს.

- **ჩატარებელი სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურება იწარმოებს რეალურად შესრულებული სამუშაოთა მოცულობების აზომვის პრინციპით.**

ტენდერის მონაწილის მიერ აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. “ინსტრუქცია ტენდერის მონაწილე კომპანიებისათვის” (არსებული დოკუმენტი), დამოწმებული კომპანიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერილით.
2. სატენდერო პაკეტში წარმოდგენილი შევსებული ხარჯთაღრიცხვა;
3. მშენებლობის წარმოების დეტალური გეგმა – გრაფიკი, შენობის თითოეული დონის დეტალიზაციით და სამუშაოთა მიმდინარეობის ურთიერთდამოკიდებულებების ჩვენებით. გრაფიკი უნდა იყოს რესურსულად დატვირთული (ტექნიკა და მუშა ხელი);
4. ფინანსური გრაფიკი (ე.წ. “Cash Flow”); (იხ. ხარჯატრრიცხვა)
5. ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
6. ცნობა ბანკიდან კონტრაქტორის სახელზე საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გაცემის მზაობაზე
7. ცნობა ბანკიდან კონტრაქტორის სახელზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გაცემის მზაობაზე
8. განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (გაცემული ტენდერის გამოცხადებამდე არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში)
9. დასტური, რომ ტენდერში მონაწილეს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ (საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლით)
10. დასტური, რომ ტენდერში მონაწილე არ იმყოფება გაკოტრების რეჟიმში
11. ცნობა სასამართლოდან, რომ ტენდერის მონაწილის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამართალწარმოება
12. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა მომსახურე ბანკების ჩამონათვალით;
13. დასტური ბანკებიდან, რომ ტენდერში მონაწილეს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანებები
14. დღგ-ის გადამხდელის ცნობა
15. ბოლო პერიოდის ფინანსური უწყისები (ბალანსი და მოგება-ზარალი)
16. კომპანიის საკუთრებაში მყოფი სამშენებლო ტექნიკის ჩამონათვალი
17. შესრულებული პროექტების ჩამონათვალი, მსგავსი პროფილის სამუშაოებზე აქცენტირებით, სამუშაოს განხორციელების ვადების და ბიუჯეტების მითითებით.

2. ტენდერში მონაწილეობის პირობები

ტენდერი ჩატარდება ელექტრონული პლატფორმის www.tenderers.net – ის გამოყენების, რომელიც წარიმართება განცხადების მიღების პრინციპით, ვაჭრობის გარეშე. ანუ ტენდერის ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ინსტრუქციის თანახმად მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რასაც გამარჯვებულის გამოვლენის მიზნის განიხილავს სატენდერო კომისია.

3. პროექტის აღწერა

3.1 შესავალი

სრული საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია ადგილობრივი საპროექტო კომპანია "აპექს სტუდიო"-ს მიერ. პროექტის ზედამხედველობის კომპანია შპს "სიემსი". ი. ჭავჭავაძის გამზ. №33; თბილისი 0179, საქართველო. ტელ.: 2240717.
აუცილებელია ყველა მონაწილემ გაითვალისწინოს, რომ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავს უზუსტობებს, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა სადაც მითითებულია შესასრულებელი სამუშაოების რაოდენობები გამოანგარიშებულია პროექტის ოპტიმიზაციის შედეგად, შესაბამისად მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ ხარჯთაღრიცხვაში მითიტებული რაოდენობები.

ტენდერის შესახებ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით კითხვით შეგიძლიათ მოგვმართოთ წერილობით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: s.jishkariani@tenderers.net

ტენდერის შესახებ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით კითხვით შეგიძლიათ მოგვმართოთ წერილობით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: g.chincharauli@cmc.ge

ტენდერში მონაწილეებმა თავიანთ წინადადებებში უნდა გაითვალისწინონ საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო რეგულაციები და სტანდარტები (ისევე როგორც სხვა რეგულაციები და სტანდარტები, რომლებიც წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტებში).

3. პროექტის ზოგადი აღწერა, განხორციელების ვადები და ფართები

პროექტის სრული საამშენებლო ფართია: 7000 $მ^2$, სადაც უნდა მოეწყოს სრული საინჟინრო სისტემები, მათ შორის:

- გათბობა-გაგრილება-ვენტილაცია
- ელექტროობა, სუსტი დენები და სახანძრო სიგნალიზაცია
- წყალსადენ-კანალიზაცია
- ხანძარქრობა

პროექტის განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე.

<u>მშენებლობის დაწყების თარიღი: არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისი</u>

<u>პროექტის დავალების მაქსიმალურად სრულყოფილად გასაანალიზებლად, აუცილებელია განხორციელდეს ტენდერის მონაწილის ტექნიკური პერსონალის ვიზიტი საამშენებლო მოედანზე.</u>

ვიზიტის თარიღი და დრო წინასწარ უნდა შეთანხმდეს საზედამხედველო კომპანიის შემდეგ წარმოამდგენელთან: გელა შველიძე, ტელ: 551 755 504 ელ.ფოსტა: g.shvelidze@cmc.ge

4. დამკვეთის ვალდებულებები

დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელის ვალდებულებაში შედის:

სამშენებლო მოედნისა გადაცემა გენერალური კონტრაქტორისათვის

სამშენებლო ნებართვის მოპოვება შესაბამისი ადგილობრივი უწყებებისგან ყველა საჭირო ხარჯის გათვალისწინებით.

დამკვეთის ვალდებულებაში შედის დამთავრებული სამუშაოების შემოწმება, აღრიცხვა, მოცულობების გადამოწმება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა.

იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის მიზეზით ვერ განხორციელდა ობიექტის ჩაბარება, კონტრაქტორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყველა დამატებითი ხარჯის გათვალისწინებით, აგრეთვე უზრუნველყოს მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდა.

5. კონტრაქტორის ვალდებულებები

5.1 სატენდერო დოკუმენტებისა და საამშნებლო უბნის შემოწმება

ტენდერის მონაწილე ვალდებულია შეამოწმოს საამშნებლო ობიექტი, გაეცნოს სამშნებლო უბნის ზოგად მდგომარეობას, არსებულ ან/და მომიჯნავე შენობა ნაგებობებს და შეაგროვოს ყველა ინფორმაცია რაც საჭიროა სამშენებლო სამუშაოების სწორი გაანგარიშებისა და განფასებისთვის (როგორც ეს სატენდერო დოკუმენტებშია მოთხოვნილი). თუ მის მიერ ჩატარებული შესწავლა გამოავლენს, რომ სამუშაოთა მოცემულობა საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებსა ან/და დამატებებს, ამ საკითხების ნუსხა ხელშეკრულების ხელმოწერამდე უნდა იქნას წარმოდგენილი.

კონტრაქტორმა უნდა მოახდინოს სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური შემოწმება და შესწავლა. ნებისმიერი ნაკლოვანების ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში ტენდერის მონაწილემ უნდა მიმართოს დამკვეთს შესაბამისი დასაბუთებით. <u>ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია ვერ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების ფასსა და სამუშაოთა შესრულების დროის გრაფიკზე.</u>

5.2 საამშენებლო სამუშოების განხორციელება და კოორდინაცია

- სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, მათ შორის ყველა საჭირო მოსამზადებელი და საამშენბლო უბნის საორგანიზაციო სამუშაოების ჩათვლით მათ შორის: .

- საჯარო უწყებებთან, მათ წარმომადგენლებთან, მეზობლებთან და სხვა ნებისმიერ მესამე მხარესთან ურთიერთობების კოორდინაცია, კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელ ნებისმიერ სამუშაოებთან მიმართებაში; ამგვარი ურთიერთობები წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან ან მის წარმომადგენელთან.

- დამკვეთის ან მისი წარმომადგენლის ინსტრუქციების შესრულება და მათი მოთხოვნის შესაბამისად, გონივრულ ვადაში საჭირო დოკუმენტებით ან/და ინფორმაციით უზრუნველყოფა.

- კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს ყველა მიმდინარე საამშენებლო დოკუმენტაცია.

- შემსრულებელი ვალდებულია საამშენებლო უბანზე დაიცვას შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით.

- ნებისმიერი სამუშაო, რომელსაც კონტრაქტორი ახორციელებს ობიექტის საზღვრებს მიღმა მის დაწყებამდე უნდა შეათანხმოს შესაბამის უწყებებთან, მომიჯნავე ფართების ან მიწების მფლობელებთან ან მათ უფლებამოსილ წარნმონადგენლებთან; საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორმა თავისი ხარჯით უნდა იზრუნოს აუცილებელი ნებართვების მოპოვებაზე შესაბამისი უწყებებიდან.

კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს ობიექტიდან საამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების დროული გატანა და შესაბამისი წესით გადაყრა. კონტრაქტორის ვალდებულებაა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის მუდმივად სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება.

- კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნისამებრ, წარადგინოს ნებისმიერი მასალის ნიმუში.

- დამკვეთის მიერ განსაზღვრული დეფექტებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება.

5.3 კომუნიკაციების დაერთება და კომუნალური გადასახადები

კონტრაქტორი პასუხისმგებელია მისი სამუშაოებისთვის საჭირო კომუნიკაციების დროებით დაერთებაზე. დაერთება და მასთან დაკავშირებული ხარჯები კონტრაქტორის ვალდებულებაა. (ობიექტზე დროებითი კომუნიკაციების მიწოდება დამკვეთის ვალდებულებაა).

კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს კომუნალური გადასახადების გადახდა მთელი საამშენებლო პროცესის განმავლობაში - საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე.

5.4 სამუშაოების გეგმა-გრაფიკი

მშენებლობის პროგრესის გეგმა-გრაფიკი წინასწარ უნდა იქნას შემუშავებული კონტრაქტორის მიერ და უნდა წარედგინოს დამკვეთს დასამტკიცებლად.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან მაქსიმუმ 5 დღეში კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს განახლებული, საბოლოო, დეტალური გეგმა-გრაფიკი. გრაფიკი შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულების პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან; გრაფიკი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს დამკვეთს. გრაფიკიდან ჩამორჩენის შემთხვევაში დამკვეთი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს შემსრულებელს დროის კომპენსირების მიზნით დამატებითი სამუშაო ცვლის ორგანიზება.

ნებისმიერი ცვლილებების შემთხვევაში ან/და დამკვეთის მოთხოვნისამებრ, კონტრაქტორმა გონივრულ ვადაში უნდა მოახდინოს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის განახლება;

5.5 დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები

ობიექტის საბოლოო მიღება ჩაბარებამდე კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოკუმენტაცია გამოყენებული მასალების შესახებ
- ხარისხის კონტროლის და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია (ტესტები, სერტიფიკატები და ა.შ. თანდართული ხარისხის სახელმძღვანელოს და მასში ასხული ფორმების მიხედვით)
- საშემსრულებლო ნახაზები

საშემსრულებლო ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას: 2 (ორი) მარკირებული და აკინძული ეგზემპლარის სახით და ასევე ციფრულ ფორმატში ("პდფ"+"დვგ" ფაილები).

6. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას მაღალი ხარისხით და უნდა შეესაბამებოდის როგორც საქართველოში მოქმედ ხარისხის სტანდარტებს, ასევე არქიტექტურულ და ტექნიკურ ნორმებს და შესაბამისობაში იყოს საერთაშორისოდ აღიარებულ ხარისხის ნორმებსა და სტანდარტებთან.

კონტრაქტორი უფლებამოსილია შეცვალოს მის მიერ გამოყენებული ტექნიკა-აღჭურვილობა, მასალები, ან სამუშაოთა შესრულების მეთოდოლოგია და ჩაანაცვლოს ისინი ხარისხობრივი მაჩვენებლით მათი ექვივალენტური ალტერნატივებით, რომლებიც შეესაბამება მოქმედ ადგილობრივ და ევროპულ სტანდარტებს და რომლებიც წინასწარ შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იქნას დამკვეთის მიერ.

7. საბანკო გარანტიები და საავანსო გადახდა

ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებს სრული სახელშეკრულებო ღირებულების მაქსიმუმ 30% (ოცდაათი) ავანსირებას. ავანსირება მოხდება კონტრაქტორის მიერ შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარდგენიდან მაქსიმუმ 7 კალენდარული დღის ვადაში;

მიღებული ავანსის დაქვითვა იწარმოებს პირდაპირპროპორციულად ყოველი შესრულებული სამუშაოს აქტებიდან;

ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებს კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენას სრული სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

საბანკო გარანტიები (როგორც საავანსო ასევე ხელშეკრულების შესრულების) გაცემული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ. კონტრაქტორის მიერ წარმოდგენლი საბანკო გარანტიები უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობადი.

ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადას.

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია უნდა იყოს კონტრაქტორის მიერ შეუსრულებელი ან/და არასათანადოდ შესრულებული ვალდებულებების მოთხოვნის დაკმაყოფილების წყარო. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ვადა ერთი წლით უნდა აღემატებოდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის ვადას. მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10

კალენდარულ დღეში მოხდება სახელშეკრულებო შესრულების გარანტიის 50%-ის ოდენობის გამოთავისუფლება, ხოლო დარჩენილი 50 % გამოთავისუფლდება საბოლოო მიღება-ჩაბარების ხელმოწერის თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

<u>კონტრაქტორი ადასტურებს, რომ სატენდერო პაკეტში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ისევე როგორც სამუშაო ობიექტის დათვალიერება / შესწავლის საფუძველზე მის მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე საკმარისი ინფორმაცია მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხასიათზე, ხარისხსა და აღწერილობაზე.</u>

<u>ხელშეკრულების შესრულების ვადა: _____ დღე</u>

<u>ხელშეკრულების შესრულების ჯამური ღირებულება: _____ აშშ დოლარი, დღგ-ს ჩათვლით.</u>

დადასტურებულია:

სამშენებლო სამუშაოების ტენდერში მონაწილე კომპანიის

უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ

ადგილი. . . . . თარიღი. . . . . _____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

_____

სახელი/გვარი

_____

კომპანია

_____

მისამართი

_____